თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6249374

ნომერი: AR1937077

თარიღი : 08.12.2022

გაცემის თარიღი : 14.12.2022

გაცნობის თარიღი : 15.12.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროპორტი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ნიკოლავა პ/ნ 35001074619
- საქართველო, ქალაქი რუსთავი, მეგობრობის გამზირი, N 2, ბინა 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის №5227789 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 02 დეკემბერს №AR1937077 განცხადებით მომართა ნინო ნიკოლავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 18

დეკემბრის №5227789 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის №5227789 ბრძანებით ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.26.004.277), სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5201441 ბრძანებით შეთანხმებული საწყობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 18 დეკემბრიდან 2022 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის №5227789 ბრძანებაში და ამავე ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა მშენებლობის განხორციელების ეტაპებთან და ეტაპების ნუმერაციასთან დაკავშირებით.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის №5227789 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში გამორჩენილია ეტაპის - „შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა“ დაფიქსირება. ასევე, შეთანხმებულ მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკში ეტაპების ნუმერაციის ნაწილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის №5227789 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1. მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, საჭიროებისამებრ საინჟინრო კომუნიკაციების გადატანა);
2. შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
3. შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები და შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
4. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;
5. შენობა-ნაგებობის 0.00 ნიშნულზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
6. შენობა-ნაგებობის +6.00 ნიშნულზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
7. შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა;
8. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
9. შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;
10. ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;
11. შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
12. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები;
გაითვალისწინეთ: სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის №5227789 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკით.
3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის №5227789 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის №5227789 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.